ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის და

საკითხების საჯარო განხილვის

ოქმი N 48

22 აგვისტო, 2025 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

13:00 სთ

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ლევან აბაშიძე

სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები:

თინათინ ნიბლოშვილი

თამარ ჩახვაშვილი

მარიამ ზაქარიაშვილი

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ ლევან აბაშიძემ. მან დაადასტურა კვორუმი და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში, დიდგორის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მსახიობის **ალეკო თეთრაშვილის** სახელის მინიჭების შესახებ
2. ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ვლადიმერ ჯანჯღავას ქუჩის მონაკვეთისთვის სამაჩაბლოს რეგიონში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის წარმოებულ საბრძოლო მოქმედებებში დაღუპული მებრძოლის **გელა ოჩიაურის** სახელის მინიჭების შესახებ
3. ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ვლადიმერ ჯანჯღავას ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის **ლომისის** სახელის მინიჭების შესახებ
4. ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ვლადიმერ ჯანჯღავას ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული ორი გასასვლელისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის **ბადრი ჭინჭარაულის** სახელის მინიჭების შესახებ
5. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ნადიკვრის III ქუჩის მონაკვეთისთვის და წინანაურის ქუჩის მონაკვეთისთვის **ნადიკვრის** სახელის მინიჭების შესახებ

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ ლევან აბაშიძემ კომისიის წევრებთან ერთად განიხილა დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხები.

1. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში, დიდგორის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მსახიობის ალეკო თეთრაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: ლევან აბაშიძემ კომისიის წევრებს შემოქმედებითი გაერთიანება „ლომისის“ ინიციტივა გააცნო, რომელიც სოფელ დიღომში მდებარე ერთ-ერთი ქუჩისთვის მსახიობის, იუმორისტ ალეკო თეთრაშვილის სახელის მინიჭებას ეხება. კომისიის მიერ სახელდებისთვის შერჩეული იქნა საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში, დიდგორის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩა. როგორც ცნობილია, ალეკო თეთრაშვილი დაიბადა და ცხოვრობდა სოფელ დიღომში.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი

მომხრე - ოთხი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში, დიდგორის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს მსახიობის ალეკო თეთრაშვილის სახელი.

2. **ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ვლადიმერ ჯანჯღავას ქუჩის მონაკვეთისთვის სამაჩაბლოს რეგიონში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის წარმოებულ საბრძოლო მოქმედებებში დაღუპული მებრძოლის გელა ოჩიაურის სახელის მინიჭების შესახებ**
3. **ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ვლადიმერ ჯანჯღავას ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის ლომისის სახელის მინიჭების შესახებ**
4. **ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ვლადიმერ ჯანჯღავას ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული ორი გასასვლელისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ბადრი ჭინჭარაულის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს: ლევან აბაშიძემ სხდომაზე გლდანის რაიონში, ვლადიმერ ჯანჯღავას ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული გზათა ქსელის სახელწოდებების მოწესრიგებასთან დაკავშირებით ისაუბრა და აღნიშნა, რომ ვლადიმერ ჯანჯღავას ქუჩა მოიცავს განაშენიანებულ ტერიტორიას ავჭალაში, დავით სარაჯიშვილის ქუჩასა და გლდანულას დასახლებას შორის. ქუჩას არ აქვს ერთი ძირითადი დასაწყისი და დასასრული. მონაკვეთები ერთმანეთთან გეგმარებითი კავშირის გარეშეა სახელდებული-როგორც ვლადიმერ ჯანჯღავას ქუჩა. ქუჩას აქვს შესახვევები და ჩიხები, რომელთა მიმდებარედ ასევე წარმოქმნილია უსახელო გეოგრაფიული ობიექტები. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ვლადიმერ ჯანჯღავას ქუჩის მონაკვეთებად დაყოფა და დამოუკიდებელ ქუჩებად სახელდება. ამ მიმართულებით კომისიამ კონსულტაცია გამართა იუსტიციის სამინისტროს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ სამისამართო დეპარტამენტთან, მოხდა ტერიტორიის ადგილზე შესწავლა, გამოიკითხა ადგილობრივი მაცხოვრებლების აზრი. ვინაიდან სახელდება შეხება ასობით საკადასტრო ერთეულს და მოიცავს მასშტაბურ ტერიტორიას (დაახლოებით 0,5 კვადრატული კილომეტრი) სახელდების პროცესი დაყოფილია რამდენიმე ეტაპად.

პირველი ეტაპი წარმოადგენს სამი ქუჩის სახელდების პროექტს. ადგილობრივი მოსახლეობის ინიციატივით, ქუჩებისთვის შერჩეულია გელა ოჩიაურის, ლომისის და ბადრი ჭინჭარაულის სახელები.

აღსანიშნავია, რომ კომისიის მიერ გელა ოჩიაურის სახელის მინიჭება არ განხორციელებულა ფრაგმენტულად. ოჩიაური ცხოვრობდა სწორედ იმ არეალში, სადაც მისანიჭებელ სახელწოდებად კომისიის მიერ მხარდაჭერილია გელა ოჩიაურის სახელი.საკითხის შესწავლის პროცესში კომისიამ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტიდან ითხოვა გელა ოჩიაურის საბრძოლო მოკვლევა და პოზიციის დაფიქსირება სახელდებასთან დაკავშირებით.

გელა ოჩიაური დაჯილდოებულია „ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით". სამშობლოს წინაშე გელა ოჩიაურის დამსახურების გათვალისწინებით, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური მხარს უჭერს თბილისში არსებული ერთ-ერთი გეოგრაფიული ობიექტისთვის მისი სახელის მინიჭებას.

ვლადიმერ ჯანჯღავას ქუჩის ერთ-ერთი მონაკვეთის მაცხოვრებელთა ინიციატივით, კომისიამ განიხილა მონაკვეთის დამოუკიდებელ ქუჩად ჩამოყალიბების შემდგომ მისთვის ლომისის სახელის მინიჭების ინიციატივა. აღსანიშნავია, რომ მონაკვეთთან განვითარებულია ორი უსახელო ჩიხი.

როგორც ლევან აბაშიძემ აღნიშნა, საქართველოში ლომისის სახელს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს როგორც რელიგიური, ასევე მითოლოგიური და კულტურული თვალსაზრისით.

რაც შეეხება ვლადიმერ ჯანჯღავას ქუჩის მესამე მონაკვეთს, იგი იყოფა დამოუკიდებელ ქუჩად, ხოლო ქუჩის კიდევ ერთი მონაკვეთი ყალიბდება წარმოქმნილი ქუჩის გასასვლელებად. მოქალაქეთა ინიციატივის გათვალისწინებით, კომისიამ აღნიშნული ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ბადრი ჭინჭარაულის სახელის მინიჭების საკითხი განიხილა.

ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური, სამშობლოს წინაშე ბადრი ჭინჭარაულის დამსახურების გათვალისწინებით, მხარს უჭერს თბილისში არსებული რომელიმე ქუჩისთვის მისი სახელის მინიჭებას.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე , კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე, მესამე და მეოთხე საკითხი

მომხრე - ოთხი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: გლდანის რაიონში, ვლადიმერ ჯანჯღავას ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს სამაჩაბლოს რეგიონში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის წარმოებულ საბრძოლო მოქმედებებში დაღუპული მებრძოლის გელა ოჩიაურის სახელი

გლდანის რაიონში, ვლადიმერ ჯანჯღავას ქუჩის მონაკვეთს და მასთან არსებულ უსახელო ჩიხს მიენიჭოს ლომისის სახელი

გლდანის რაიონში, ვლადიმერ ჯანჯღავას ქუჩის მონაკვეთს და მასთან არსებულ ორ გასასვლელს მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ბადრი ჭინჭარაულის სახელი;

5. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ნადიკვრის III ქუჩის მონაკვეთისთვის და წინანაურის ქუჩის მონაკვეთისთვის ნადიკვრის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: ლევან აბაშიძის ინფორმაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. როგორც კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, კომისიამ კონსულტაციები გამართა კრწანისის რაიონის მაჟორიტარ წევრთან. როგორც დადგინდა, ქუჩის გავრცელების არეალის წარმოდგენილი ფორმით სახელდება მომავალში წარმოშობს გარკვეულ სირთულეებს, რადგან ტერიტორიაზე მიმდინარეობს ინტენსიური განაშენიანების პროცესი და გზათა ქსელი ჩამოყალიბებული არ არის საბოლოო სახით.
ამდენად, მნიშვნელოვანია საკითხი წარმოდგენილი ფორმით არ იქნეს მიღებული და მოხდეს მისი ხელახლა ინიცირება, ფაქტობრივი მდგომარეობის შესაბამისად. მიზანშეწონილია, გაგრძელდეს სულიკო თორთლაძის ქუჩა და მასთან მდებარე უსახელო შესახვევს მიენიჭოს სულიკო თორთლაძის სახელი

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეხუთე საკითხი

მომხრე - არცერთი

წინააღმდეგი - ოთხი

თავი შეიკავა - არცერთი.

როგორც ცნობილია, 21 ივლისის კომისიის სხდომაზე დღის წესრიგით წარმოდგენილი იყო რვა საკითხი, რომელიც მთლიანად ვარკეთილის მეურნეობაში არსებულ გზათა ქსელის მოწესრიგებას შეეხებოდა. კომისიას სურდა ქუჩებისთვის მოჭიდავეების: ლევან თედიაშვილის, ავთანდილ ქორიძის, მირიან ცალქალამანიძის, რომან ძნელაძის, ასევე მოფარიკავე ნუგზარ ასათიანის და ვლადიმერ აფციაურის, ძალოსან რაფაელ ჩიმიშკიანის და მძლეოსან რობერტ შავლაყაძის სახელები მიენიჭებინა.

საკითხის ინიცირებას წინ უძღვოდა ტერიტორიის ადგილზე შესწავლა და გზათა ქსელის ფაქტობრივი მდგომარეობის შესაბამისად დამუშავება. გარდა ამისა, კონსულტაციები გაიმართა სსიპ „ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსთან. ინიცირების შემდგომ, საკითხების საფუძვლიანად დამუშავებისა და ტერიტორიის თითოეული ქუჩის დონეზე შესწავლის ეტაპზე, ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მოსაზრებით, ტერიტორია საჭიროებს საფუძვლიან დამუშავებას, რადგან არეალი არ არის დაგეგმარებული, საკადასტრო ერთეულები არასისტემურად არის რეგისტრირებული და გზათა ქსელიც არაორგანიზებული სახითაა წარმოდგენილი.

აღნიშნულის გათვალისწინებით, წინამდებარე საკითხებთან დაკავშირებით, კომისია გააგრძელებს მუშაობას შესაბამის სამსახურებთან და ტერიტორიის სახელდებისთვის სრულად მომზადების შემდგომ მოახდენს კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით განხილვას.

ლევან აბაშიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

ლევან აბაშიძე